



მეღვინეობა ხარება **WINERY KHAREBA**

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები.....	14
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	15
5. ამონაგები.....	19
6. სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	19
7. მიწოდების ხარჯები	20
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	20
9. ძირითადი საშუალებები.....	21
10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	21
11. ბიოლოგიური აქტივები.....	23
12. მარაგები	24
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
15. სესხები.....	25
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	25
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	26
18. პირობითი ვალდებულებები	26
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	26
20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	27

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება	39
--	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მელვინეობა ხარებას“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მელვინეობა ხარებას“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივები მოიცავს დამფუძნებლის მიერ ჯგუფის კაპიტალში შეტანილ აქტივებს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამგვარი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 15,327,114 ლარს (31.12.2019: 16,029,857 ლარი და 01.01.2019 : 17,103,340 ლარი), ხოლო ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 2,037,316 ლარს (31.12.2019: 2,084,695 ლარი და 01.01.2019 : 2,227,174 ლარი). აღნიშნული აქტივები საწყისად აღიარდა რეალური ღირებულებით. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, ჩავეტარებინა დაგეგმილი აუდიტორული სამუშაოები რეალური ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან, ბიოლოგიურ აქტივებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფმა 2018 წელს შეიძინა საწარმო. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შეძენილი საწარმოს საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების შეფასების სამუშაოები. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამგვარი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,856,097 ლარს (31.12.2019: 3,068,784 ლარი და 01.01.2019: 3,281,471 ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს აღწერილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-9 განმარტებით შენიშვნაში, კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული გარემოებების გამო, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებობდა ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულების გაუფასურების ნიშნები. ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა ფულადი სახსრების წარმომქნელი შემდეგი ერთეულების გაუფასურების ტესტი:

დასახელება	საქმიანობა	მდებარეობა	ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება
პორტა კავკასია	სასტუმრო	ყაზბეგი	6,045,774
სასტუმრო ჯვარში	მშენებარე სასტუმრო	ჯვარი	1,008,912
			7,054,686

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარბებს თუ არა მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ჩვენ ვერ ჩავატარეთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.
- სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრაშია და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

4 ნოემბერი, 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მელვინეობა ხარებას“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მელვინეობა ხარებას“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივები მოიცავს დამფუძნებლის მიერ ჯგუფის კაპიტალში შეტანილ აქტივებს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამგვარი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 15,327,114 ლარს (31.12.2019: 16,029,857 ლარი და 01.01.2019 : 17,103,340 ლარი), ხოლო ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 2,037,316 ლარს (31.12.2019: 2,084,695 ლარი და 01.01.2019 : 2,227,174 ლარი). აღნიშნული აქტივები საწყისად აღიარდა რეალური ღირებულებით. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, ჩავეტარებინა დაგეგმილი აუდიტორული სამუშაოები რეალური ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან, ბიოლოგიურ აქტივებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფმა 2018 წელს შეიძინა საწარმო. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შეძენილი საწარმოს საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების შეფასების სამუშაოები. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამგვარი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,856,097 ლარს (31.12.2019: 3,068,784 ლარი და 01.01.2019: 3,281,471 ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს აღწერილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-9 განმარტებით შენიშვნაში, კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული გარემოებების გამო, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებობდა ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულების გაუფასურების ნიშნები. ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა ფულადი სახსრების წარმომქნელი შემდეგი ერთეულების გაუფასურების ტესტი:

დასახელება	საქმიანობა	მდებარეობა	ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება
პორტა კავკასია	სასტუმრო	ყაზბეგი	6,045,774
სასტუმრო ჯვარში	მშენებარე სასტუმრო	ჯვარი	1,008,912
			7,054,686

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარბებს თუ არა მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ჩვენ ვერ ჩავატარეთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გეჟონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ ადმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონიერული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონიერულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.
- სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

4 ნოემბერი, 2021

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	5	27,675,527	34,798,579
თვითღირებულება		(21,144,701)	(25,601,702)
საერთო მოგება რეალიზაციიდან		6,530,826	9,196,877
სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	6	10,883,140	7,499,642
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯები	6	(7,556,489)	(6,318,237)
საერთო მოგება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან		3,326,651	1,181,405
მიწოდების ხარჯები	7	(3,208,089)	(4,556,947)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(5,775,846)	(7,558,622)
წმინდა სხვა შემოსავალი		708,655	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1,582,197	(1,737,287)
ფინანსური ხარჯები	10;11;15	(456,792)	(838,899)
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		(2,392,301)	(3,843,195)
წმინდა ზარალი		(1,266,896)	(6,419,381)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული ზარალი		(1,266,896)	(6,419,381)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 4 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ზურაბ გოზალიშვილი

ფინანსური დირექტორი

სალომე ნიკოლეიშვილი

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	5	27,675,527	34,798,579
თვითღირებულება		(21,144,701)	(25,601,702)
საერთო მოგება რეალიზაციიდან		6,530,826	9,196,877
სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	6	10,883,140	7,499,642
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯები	6	(7,556,489)	(6,318,237)
საერთო მოგება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან		3,326,651	1,181,405
მიწოდების ხარჯები	7	(3,208,089)	(4,556,947)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(5,775,846)	(7,558,622)
წმინდა სხვა შემოსავალი		708,655	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1,582,197	(1,737,287)
ფინანსური ხარჯები	10;11;15	(456,792)	(838,899)
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		(2,392,301)	(3,843,195)
წმინდა ზარალი		(1,266,896)	(6,419,381)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული ზარალი		(1,266,896)	(6,419,381)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 4 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ზურაბ გოგალიშვილი

ფინანსური დირექტორი



სალომე ნიკოლიშვილი

ჯგუფი მედვინეობა ხარება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	66,074,314	58,339,106
აქტივების გამოყენების უფლება	10	3,470,319	3,389,906
ბიოლოგიური აქტივები	11	10,140,933	10,102,460
არამატერიალური აქტივები		144,352	92,881
		79,829,918	71,924,353
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	37,332,720	32,291,203
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	5,486,549	5,072,717
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,408,734	2,310,063
		44,228,003	39,673,983
სულ აქტივები		124,057,921	111,598,336
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1	103,495,407	103,439,167
დაგროვილი ზარალი		(16,943,022)	(15,676,126)
სულ კაპიტალი		86,552,385	87,763,041
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	15	18,845,452	9,564,786
საიჯარო ვალდებულებები	10	2,822,291	2,367,679
გადავადებული შემოსავალი	11	618,800	1,218,920
		22,286,543	13,151,385
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	10,906,619	8,222,368
სესხები	15	3,560,807	1,996,082
საიჯარო ვალდებულებები	10	751,567	465,460
		15,218,993	10,683,910
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		124,057,921	111,598,336

ჯგუფი მედვინეობა ხარება

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	49,565,287	(9,256,745)	40,308,542
კაპიტალის შევსება	53,873,880	-	53,873,880
სრული შემოსავალი	-	(6,419,381)	(6,419,381)
2019 წლის 31 დეკემბერი	103,439,167	(15,676,126)	87,763,041
კაპიტალის შევსება	56,240	-	56,240
სრული ზარალი	-	(1,266,896)	(1,266,896)
2020 წლის 31 დეკემბერი	103,495,407	(16,943,022)	86,552,385

ჯგუფი მედვინეობა ხარება

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(1,266,896)	(6,419,381)
კორექტირებები:			
ფინანსური ხარჯები	10;11;15	456,792	838,899
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	13	73,202	-
Covid-19 საიჯარო შედავითი	10	(15,141)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		3,720,980	4,206,799
ზარალი მარაგების გაუფასურებიდან	8	446,252	1,728,969
მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან		(227,833)	181,246
სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	6	(10,883,140)	(7,499,642)
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		2,392,301	3,843,195
		(5,303,483)	(3,119,915)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში			
მარაგების კლება		5,967,018	6,978,002
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლება		1,006,113	1,180,035
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		2,396,420	(1,203,958)
ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან		4,066,068	3,834,164
გადახდილი პროცენტები	10;15	(808,267)	(1,156,446)
წმინდა ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან		3,257,801	2,677,718
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(10,842,743)	(3,120,152)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა		(561,042)	(1,348,981)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(109,524)	(1,600)
სახელმწიფო გრანტებიდან მიღებული ფული	11	45,230	1,218,920
ძირითადი საშუალებების გასვლა		429,590	153,623
ბიოლოგიური აქტივების გასვლა		-	170,411
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(11,038,489)	(2,927,779)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
კაპიტალის შევსება		56,240	-
სესხების აღება	15	10,132,504	17,260,775
სესხების დაფარვა	15	(2,115,247)	(14,306,987)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	10	(1,164,789)	(828,552)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		6,908,708	2,125,236
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(871,980)	1,875,175
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში.		2,310,063	434,888
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა		(29,349)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	14	1,408,734	2,310,063

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეღვინეობა ხარება“ (საიდენტიფიკაციო კოდი 404427928, შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2012 წლის 27 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-6 კმ. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ყურძნის მოყვანა, ღვინის და სპირტიანი სასმელების წარმოება და წარმოებული პროდუქციის საცალო და საბითუმო ვაჭრობა. ცხრილი გვიცვენებს კომპანიის მფლობელებს 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის მფლობელები

	წილი
შპს მეღვინეობა ხარება (საიდენტიფიკაციო კოდი 204457328)	52.2%
შპს საქართველოს მარანი	42%
შპს ვაჩნაძიანი	5%
ფ.პ ალექსანდრე ხარებავა	0.5%
ფ.პ ვახტანგ ლიპარტიანი	0.3%

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის დედა კომპანიას წარმოადგენს შპს მეღვინეობა ხარება (საიდენტიფიკაციო კოდი 204457328) და ჯგუფის საბოლოო დედა კომპანიას წარმოადგენს სააქციო საზოგადოება ინტელლეგენს ჰოლდინგ აგ.

ცხრილი გვიჩვენებს საწესდებო კაპიტალს და მოთხოვნას კაპიტალის შევსებაზე.

	ანაზღაურებული საწესდებო კაპიტალი	აუნაზღაურებული საწესდებო კაპიტალი	სულ საწესდებო კაპიტალი	ფაქტიური შენატანების წილი
შპს მეღვინეობა ხარება (საიდენტიფიკაციო კოდი 204457328)	86,563,995	-	86,563,995	83.64%
შპს საქართველოს მარანი	14,637,020	55,012,172	69,649,192	14.14%
შპს ვაჩნაძიანი	1,969,943	6,321,627	8,291,570	1.90%
ფ.პ ალექსანდრე ხარებავა	144,099	685,058	829,157	0.14%
ფ.პ ვახტანგ ლიპარტიანი	180,350	317,144	497,494	0.17%
სულ 2020	103,495,407	62,336,001	165,831,408	100%
	ანაზღაურებული საწესდებო კაპიტალი	აუნაზღაურებული საწესდებო კაპიტალი	სულ საწესდებო კაპიტალი	ფაქტიური შენატანების წილი
შპს მეღვინეობა ხარება (საიდენტიფიკაციო კოდი 204457328)	86,563,995	-	86,563,995	83.7%
შპს საქართველოს მარანი	14,637,020	55,012,172	69,649,192	14.1%
შპს ვაჩნაძიანი	1,969,943	6,321,627	8,291,570	1.9%
ფ.პ ალექსანდრე ხარებავა	87,859	741,298	829,157	0.1%
ფ.პ ვახტანგ ლიპარტიანი	180,350	317,144	497,494	0.2%
სულ 2019	103,439,167	62,392,241	165,831,408	100%

2019 წლის განმავლობაში დაკავშირებულმა მხარეებმა ჯგუფთან სასახო ურთიერთობიდან წარმოქმნილი მოთხოვნა დაუთმეს შპს მეღვინეობა ხარებას (საიდენტიფიკაციო კოდი 204457328), რომელმაც განახორციელა ჯგუფის მიმართ სასახო მოთხოვნების კონვერტირება კაპიტალში 53,873,880 ლარის ოდენობით. აუნაზღაურებელი საწესდებო კაპიტალის შეტანის ვადა არის 2021 წლის 31 დეკემბერი. აღნიშნულ თარიღში ფაქტობრივად შევსებული კაპიტალის პროპორციულად მოხდება ჯგუფის მფლობელებს შორის წილების გადანაწილება.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ყავს სამი შვილობილი კომპანია, სადაც ფლობს 100%-იანი წილს. კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

დასახელება

შპს ხარება
შპს პორტა კავკასია
შპს მარანული

საქმიანობა

სოფლის მეურნეობა
სასტუმროს ოპერირება
უმოქმედო

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ბიოლოგიურ აქტივებში წარდგენილი ცხოველებისა, რომლებიც საწყისი აღიარებისას და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს COVID-19 პანდემიის გავლენის ანალიზი ჯგუფის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები - ახალი სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2020 წლის 1 იანვრიდან, თუმცა არც ერთ მათგანს არ მოუხდენია არსებითი ზეგავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, არის შემდეგი:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები - ბიზნესის განმარტება);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები; და
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა (ფასს 16-ის ცვლილებები).
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომავალ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ძალაში შედის შემდეგი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ის და ბასს 41-ის შესწორებები); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის შესწორებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ჯგუფს უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ჯგუფი არ ელოდება, რომ IASB-ის მიერ გამოცემულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზეგასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფმა გადახედავს ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფმა შეცვალა ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 11.

3.2 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.4 იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ჯგუფი იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებების, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებს.

	2020	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,232,116	2,757,955
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,408,734	2,310,063
სულ ფინანსური აქტივები	4,640,850	5,068,018

	2020	2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,756,845	6,588,349
საიჯარო ვალდებულებები	3,573,858	2,833,139
სესხები	22,406,259	11,560,868
სულ ფინანსური ვალდებულებები	32,736,962	20,982,356

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებადი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები - საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, როგორცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები, შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

ამორტიზებადი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები - საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების და სალიზინგო კომპანიიდან მიღებული საიჯარო ვალდებულების (აღჭურვილობის და დანადგარები იჯარა) მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. მიღებული სესხების დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 5%-დან 12%-მდე, ხოლო საიჯარო ვალდებულების - 18%-დან 24%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხების და დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული საიჯარო ვალდებულების (მიწა, კომერციული ფართი, სატრანსპორტო საშუალებები) მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. მიღებული სესხების დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 6%-დან 7%-მდე, ხოლო საიჯარო ვალდებულების - 7%-დან 13%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების და სალიზინგო კომპანიიდან საიჯარო ვალდებულების რეალური ღირებულება შეფასებულია მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

	2020		2019	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	566,128	1,755,499	318,920	1,346,189
ფული და ფულის ეკვივალენტები	10,728	1,934	1,747	519,954
სულ ფინანსური აქტივები	576,856	1,757,433	320,667	1,866,143
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,099	219,757	-	134,003
სესხები	1,938,163	17,223,902	329,786	9,540,971
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,955,262	17,443,659	329,786	9,674,974
წმინდა სავალუტო პოზიცია	(1,378,406)	(15,686,226)	(9,119)	(7,808,831)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2020	(275,681)	275,681	(3,137,245)	3,137,245
მოგება/(ზარალი) 2019	(1,824)	1,824	(1,561,766)	1,561,766

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისთვის ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები საბალანსო ღირებულება შეადგენს შესაბამისად. 978,170 და 881,200 ლარს.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში. ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას.

	2020		2019	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი)	9,782	(9,782)	8,812	(8,812)

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს. საინვესტიციო ბაზრების სწრაფად ცვლილების შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელობა ახორციელებს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის ცვლილებასა და სხვა დამცავ ქმედებებს. შედეგად, დაშვებების რეალურმა ცვლილებამ შესაძლებელია გავლენა არ მოახდინოს ჯგუფის ვალდებულებებზე. ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზრუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოთეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, საბანკო დეპოზიტებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	2020	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,232,116	2,757,955
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	1,371,862	2,238,054
სულ	4,603,978	4,996,009

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ 2020
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,756,845	-	-	6,756,845
საიჯარო ვალდებულებები	838,115	2,348,210	8,352,090	11,538,415
სესხები	4,326,903	12,901,434	8,885,983	26,114,320
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,921,863	15,249,644	17,238,073	44,409,580

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ 2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,588,349	-	-	6,588,349
საიჯარო ვალდებულებები	903,050	2,769,824	1,502,228	5,175,102
სესხები	1,554,042	4,857,446	9,064,338	15,475,826
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,045,441	7,627,270	10,566,566	27,239,277

5. ამონაგები

	2020	2019
ამონაგები ექსპორტზე საბითუმო რეალიზაციიდან	23,587,127	19,812,343
ამონაგები ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო რეალიზაციიდან	1,847,627	6,500,033
ამონაგები ადგილობრივ ბაზარზე საცალო რეალიზაციიდან	923,568	3,846,704
ამონაგები სასტუმრო სარესტორნო და სხვა ტურისტული მომსახურებიდან	792,037	4,411,680
სხვა ამონაგები	525,168	227,819
სულ	27,675,527	34,798,579

6. სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება

ცხრილი გვიჩვენებს შემოსავალს სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარებიდან.

	2020		2019	
	ტონა	ღირებულება	ტონა	ღირებულება
ყურძენი				
საფერავი	3,486	5,890,116	2,038	4,026,786
რქაწითელი	1,778	1,588,928	1,527	1,080,271
ციცქა	347	590,379	345	587,302
უსახელოური	30	449,730	11	115,773
მწვანე	525	447,648	334	253,225
ქისი	215	344,696	165	296,537
ალექსანდროული/მუჯურეთული	43	295,834	23	157,243
ოჯალეში	33	272,583	26	204,128
კაბერნე	146	174,840	123	184,005
ხიხვი	56	84,525	63	127,327
სხვა	389	491,565	258	317,618
სულ	7,048	10,630,844	4,913	7,350,215
მოცვი	22	172,796	-	-
თაფლი	5	79,500	9	149,427
სულ	7,075	10,883,140	4,922	7,499,642

ცხრილი გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

	2020	2019
ყურძენი		
ხელფასის ხარჯი	(4,609,436)	(2,989,642)
დამხმარე მასალების ჩამოწერა	(911,186)	(1,303,501)
ცვეთა და ამორტიზაცია	(877,653)	(805,614)
საწვავის ხარჯი	(392,866)	(387,008)
სხვა	(505,890)	(558,374)
სულ ყურძნის მოყვანის ხარჯი	(7,297,031)	(6,044,139)
თაფლის მიღების ხარჯი	(259,458)	(274,098)
სულ	(7,556,489)	(6,318,237)

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. მიწოდების ხარჯები

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	(1,409,303)	(1,743,468)
რეკლამის ხარჯი	(732,474)	(1,242,907)
ცვეთა	(472,165)	(497,553)
ტრანსპორტირების ხარჯი	(388,370)	(415,741)
იჯარის ხარჯი	(43,079)	(75,675)
სხვა	(162,698)	(581,603)
სულ	(3,208,089)	(4,556,947)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	(2,205,987)	(2,144,370)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(724,410)	(644,936)
ცვეთა და ამორტიზაცია	(663,605)	(565,964)
მარაგების გაუფასურება	(446,252)	(1,728,969)
პროფესიული სერვისები	(300,333)	(758,967)
ტრანსპორტირების ხარჯი	(268,843)	(278,656)
კომუნალური ხარჯი	(146,774)	(206,381)
რემონტის ხარჯები	(121,935)	(105,148)
საბანკო ხარჯი	(106,747)	(223,754)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(73,202)	-
მივლინების ხარჯები	(38,421)	(190,421)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(12,471)	(99,578)
სხვა	(666,866)	(611,478)
სულ	(5,775,846)	(7,558,622)

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობა	ოფისის აქტივები	დანადგარები	მშენებარე აქტივები	ტრანსპორტი	იჯარის რემონტი	სულ
31.12.2018	8,708,073	30,038,648	4,382,482	20,584,263	714,158	5,961,345	-	70,388,969
შემოსვლა	-	914,555	431,003	380,705	165,610	1,350,889	317,679	3,560,441
გასვლა	-	-	-	-	-	(621,785)	-	(621,785)
31.12.2019	8,708,073	30,953,203	4,813,485	20,964,968	879,768	6,690,449	317,679	73,327,625
შემოსვლა	663,000	1,463,360	357,182	6,283,486	756,840	1,403,093	-	10,926,961
გასვლა	(61,366)	(105,365)	(15,924)	(105,656)	-	(689,359)	-	(977,670)
გადმოსვლა ROA-დან	-	-	-	-	-	1,360,562	-	1,360,562
31.12.2020	9,309,707	32,311,198	5,154,743	27,142,798	1,636,608	8,764,745	317,679	84,637,478
დაგროვილი ცვეთა								
31.12.2018	-	(3,296,961)	(1,422,353)	(5,552,974)	-	(1,625,966)	-	(11,898,254)
ცვეთა	-	(806,609)	(530,642)	(1,411,079)	-	(628,851)	-	(3,377,181)
გასვლა	-	-	-	-	-	286,916	-	286,916
31.12.2019	-	(4,103,570)	(1,952,995)	(6,964,053)	-	(1,967,901)	-	(14,988,519)
ცვეთა	-	(879,033)	(557,452)	(1,622,470)	-	(762,518)	-	(3,821,473)
გასვლა	-	-	13,561	53,841	-	215,888	-	283,290
გადმოსვლა ROA-დან	-	-	-	-	-	(36,462)	-	(36,462)
31.12.2020	-	(4,982,603)	(2,496,886)	(8,532,682)	-	(2,550,993)	-	(18,563,164)
საბალანსო ღირებულება								
31.12.2019	8,708,073	26,849,633	2,860,490	14,000,915	879,768	4,722,548	317,679	58,339,106
31.12.2020	9,309,707	27,328,595	2,657,857	18,610,116	1,636,608	6,213,752	317,679	66,074,314

ჯგუფმა გამოსყიდა სატრანსპორტო საშუალებები სალიზინგო კომპანიიდან და შესაბამისად აღნიშნული აქტივები აქტივის გამოყენების უფლებიდან გადმოიტანა ძირითად საშუალებებში.

კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული გარემოებების გამო, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებობდა ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულების გაუფასურების ნიშნები. ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა ფულადი სახსრების წარმომქნელი შემდეგი ერთეულების გაუფასურების ტესტი:

დასახელება	საქმიანობა	მდებარეობა	ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება
პორტა კავკასია	სასტუმრო	ყაზბეგი	6,045,774
სასტუმრო ჯვარში	მშენებარე სასტუმრო	ჯვარი	1,008,912
			7,054,686

10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლისთვისაც აღიარებულია აქტივების გამოყენების უფლება, მოიცავს მიწის, კომერციული ფართის, აღჭურვილობა და დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებების იჯარებს. მიწის იჯარა მიღებულია დაკავშირებული მხარისგან, რომელზეც გაშენებულია ვენახები. მოცემული მიწების იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 10 წელს გაგრძელების უფლებით. მიწების იჯარის ვადის შეფასებისთვის ჯგუფი იყენებს ვენახების სასარგებლო მომსახურების ვადას. კომერციული ფართის იჯარა აღებულია დაკავშირებული მხარისგან. აღნიშნულ ფართზე განთავსებულია საცალო გაყიდვების მაღაზია. მოცემული იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 1 წელს გაგრძელების უფლებით.

ჯგუფს აღჭურვილობა და დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებები იჯარით აქვს აღებული სს თიბისი ლიზინგისგან, რომელთა იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 5 წელს. სახელშეკრულებო პერიოდის დასრულების შემდეგ საიჯარო გადასახდელების სრულად გადახდის შემთხვევაში იჯარის ობიექტზე საკუთრების უფლება გადაეცემა ჯგუფს. ჯგუფმა გამოსყიდა სატრანსპორტო საშუალებები სალიზინგო კომპანიიდან და შესაბამისად აღნიშნული აქტივები აქტივის გამოყენების უფლებიდან გადმოიტანა ძირითად

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

საშუალებებში. დარჩენილი სატრანსპორტო საშუალებები იჯარით არის აღებული დაკავშირებული მხარიდან და იჯარის ვადა მოიცავს 3 წელს.

ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. ცხრილი გვიჩვენებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით არსებული იჯარის ვადას, ზღვრულ სასესხო განაკვეთსა და საიჯარო გადასახდელებს.

იჯარა	არაგაუქმებადი პერიოდი	გაგრძელების უფლების გამოყენება	იჯარის ვადა	დისკონტის განაკვეთი	ვალუტა	საიჯარო გადასახდელი წლიურად
მიწა	-	45 წელი	45 წელი	13%	ლარი	211,728
მაღაზია	-	5-10 წელი	5-10 წელი	7%-13%	დოლარი/ლარი	111,507
სატრანსპორტო საშუალებები	-	3 წელი	3 წელი	13%	ლარი	8,136
სხვა აქტივები	5 წელი	-	5 წელი	18%-24%	ლარი	514,880

დისკონტის განაკვეთი მიწის, კომერციული ფართის და სატრანსპორტო საშუალებების იჯარისთვის წარმოადგენს ზღვრულ სასესხო განაკვეთს. ჯგუფს არ გააჩნია მსგავსი მახასიათებლების მქონე მიღებული სესხები მიმდინარე ან შესაძარის პერიოდში. ზღვრული სასესხო პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. აღჭურვილობა - დანადგარებისთვის და სატრანსპორტო საშუალებების საწყისი ნაშთის იჯარებისთვის დისკონტის განაკვეთად აღებულია ხელშეკრულებაში ნაგულისხმები განაკვეთი.

ცხრილი გვიჩვენებს აქტივის გამოყენების უფლების მოძრაობას.

	მიწა	კომერციული ფართი	აღჭურვილობა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01.01.2019	472,522	301,813	-	-	774,335
შემოსვლა	99,358	-	1,345,128	1,360,561	2,805,047
ცვეთა	(20,888)	(60,363)	(71,763)	(36,462)	(189,476)
31.12.2019	550,992	241,450	1,273,365	1,324,099	3,389,906
შემოსვლა	573,015	180,924	-	278,816	1,032,755
გადასვლა ძირითად საშუალებებში	-	-	-	(1,324,100)	(1,324,100)
ცვეთა	(32,614)	(76,019)	(109,927)	(39,831)	(258,391)
მოდუფიკაციის ეფექტი	630,149	-	-	-	630,149
31.12.2020	1,721,542	346,355	1,163,438	238,984	3,470,319

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას.

	მიწა	კომერციული ფართი	აღჭურვილობა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01.01.2019	472,522	301,813	182,918	131,391	1,088,644
შემოსვლა	99,358	-	1,345,128	1,360,561	2,805,047
საპროცენტო ხარჯი	54,503	30,672	194,424	122,824	402,423
დღგ დარიცხვაზე	10,932	14,156	165,478	97,987	288,553
ავანსის გამოყენება	-	-	(232,000)	-	(232,000)
გადახდა	(71,663)	(92,800)	(712,708)	(642,359)	(1,519,530)
31.12.2019	565,652	253,841	943,240	1,070,404	2,833,137
შემოსვლა	573,015	180,924	-	278,816	1,032,755
საპროცენტო ხარჯი	174,147	32,601	159,864	15,644	382,256
დღგ დარიცხვაზე	33,114	17,883	75,162	178,830	304,989
გადახდა	-	-	(345,527)	(1,248,760)	(1,594,287)
Covid-19-ის შედეგად	-	(15,141)	-	-	(15,141)
მოდუფიკაციის ეფექტი	630,149	-	-	-	630,149
31.12.2020	1,976,077	470,108	832,739	294,934	3,573,858

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ჯგუფმა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადახედა ექსპლუატაციაში შესული ვენახების სასარგებლო მომსახურების ვადებს, იმსჯელა მათი ეკონომიკური სარგებლის მოტანის პერიოდზე და განაახლა ბიოლოგიური აქტივების ნარჩენი სასარგებლო მომსახურების ვადები. შესაბამისად, ჯგუფმა გადახედა მიწების იჯარების ნარჩენ ვადას. იჯარის ვადა გაუტოლდა ვენახების ნარჩენ მომსახურების ვადას 45 წელს. ჯგუფმა გაიანგარიშა საიჯარო ვალდებულების ცვლილება და შესაბამისი ცვლილებით გაზარდა აქტივების გამოყენების უფლება წლის დასაწყისში.

11. ბიოლოგიური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ექსპლუატაციაში შესული ვენახები	მზარდი ვენახები	ექსპლუატაციაში შესული ხილის ბაღი	მზარდი ხილის ბაღი	სხვა (ცხოველები)	სულ
31.12.2018	5,956,581	2,600,212	213,664	1,097,750	258,768	10,126,975
შემოსვლა	-	325,440	-	1,023,541	-	1,348,981
სესხის დანახარჯი	-	317,291	-	11,615	-	328,906
გასვლა	-	(170,411)	-	-	-	(170,411)
ექსპლუატაციაში შესვლა	1,731,349	(1,731,349)	-	-	-	-
31.12.2019	7,687,930	1,341,183	213,664	2,132,906	258,768	11,634,451
შემოსვლა	-	646,093	-	389,949	-	1,036,042
გრანტის ელიმინირება*	-	(645,350)	-	-	-	(645,350)
სესხის დანახარჯი	-	97,792	-	112,076	-	209,868
გასვლა	(18,940)	(391,829)	-	-	-	(410,769)
ექსპლუატაციაში შესვლა	488,197	(488,197)	-	-	-	-
31.12.2020	8,157,187	559,692	213,664	2,634,931	258,768	11,824,242
დაგროვილი ცვეთა						
31.12.2018	(1,172,266)	-	(26,228)	-	-	(1,198,494)
ცვეთა	(321,283)	-	(12,214)	-	-	(333,497)
31.12.2019	(1,493,549)	-	(38,442)	-	-	(1,531,991)
ცვეთა	(150,728)	-	(3,982)	-	-	(154,710)
გასვლა	3,392	-	-	-	-	3,392
31.12.2020	(1,640,885)	-	(42,424)	-	-	(1,683,309)
საბალანსო ღირებულება						
31.12.2019	6,194,381	1,341,183	175,222	2,132,906	258,768	10,102,460
31.12.2020	6,516,302	559,692	171,240	2,634,931	258,768	10,140,933

* 2019 წლის დეკემბერში ჯგუფმა მიიღო დაბალპროცენტიანი სესხი ააიპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში ვენახების გასაშენებლად და სოფლის მეურნეობის საკმიაზობის განვითარებისთვის. დაბალი პროცენტით სესხებიდან მიღებული სარგებელი ჯგუფმა განიხილა როგორც სახელმწიფო გრანტი და გაიანგარიშა, როგორც ტრანზაქციის დანახარჯებით შემცირებულ სესხის რეალურ ღირებულებასა და მიღებულ თანხას შორის სხვაობა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრანტი წარდგენილია, როგორც გადავადებული შემოსავალი, რადგან ჯგუფს აღნიშნული თარიღისთვის არ დაუწყია გრანტის სახით მიღებული თანხის გამოყენება. 2020 წელს ჯგუფმა გამოიყენო გრანტის თანხა ვენახების გასაშენებლად და გრანტის თანხით შეამცირა ვენახების საბალანსო ღირებულება.

ჯგუფმა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადახედა ექსპლუატაციაში შესული ვენახების სასარგებლო მომსახურების ვადებს, იმსჯელა მათი ეკონომიკური სარგებლის მოტანის პერიოდზე და განაახლა ბიოლოგიური აქტივების ნარჩენი სასარგებლო მომსახურების ვადები. ცხრილი გვიჩვენებს მომსახურების ვადების ცვლილებას და შესაბამის ცვეთის ეფექტს.

	ექსპლუატაციაში შესული ვენახები	
	სასარგებლო მომსახურების ვადა	ცვეთის ხარჯი
საწყისი	25	(307,517)
გადახედული ნარჩენი მომსახურების ვადა	45	(170,843)
ცვლილება	20	(136,674)

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. მარაგები

	2020	2019
მზა პროდუქცია	6,935,081	5,167,370
დაუმთავრებელი წარმოება	24,027,023	20,440,670
ნედლეული და მასალები	3,644,500	3,137,382
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,726,116	3,545,781
სულ	37,332,720	32,291,203

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები	4,599,161	4,051,798
გაცემული სესხები	65,352	65,352
საეჭვო ვალების რეზერვი	(1,432,397)	(1,359,195)
სულ ფინანსური მოთხოვნები	3,232,116	2,757,955
ძირითად საშუალებებზე და ბიოლოგიური აქტივებზე გადახდილი ავანსები	1,787,959	1,638,087
სხვა გადახდილი ავანსები	390,280	362,130
მოთხოვნები მზა პროდუქციის დაბრუნებაზე	40,957	140,974
წინასწარ გადახდილი გადასახადები	35,237	173,571
საეჭვო ვალების რეზერვი	-	-
სულ მოთხოვნები	5,486,549	5,072,717

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც ჯგუფი საქმიანობს.

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილებას და მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხს.

	2020			2019		
	მოთხოვნა	განაკვეთი	რეზერვი	მოთხოვნა	განაკვეთი	რეზერვი
მიმდინარე	2,019,405	1%	(23,223)	1,912,881	1%	(19,129)
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	513,441	6%	(29,523)	230,860	10%	(23,086)
31-90 დღის ვადაგადაცილება	62,815	17%	(10,836)	492,222	30%	(147,667)
91-180 დღის ვადაგადაცილება	329,072	23%	(75,687)	363,597	50%	(181,799)
181-365 დღის ვადაგადაცილება	638,159	40%	(256,859)	323,620	80%	(258,896)
365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	1,036,269	100%	(1,036,269)	728,618	100%	(728,618)
სულ	4,599,161		(1,432,397)	4,051,798		(1,359,195)
გაუფასურების რეზერვი	(1,432,397)			(1,359,195)		
წმინდა მოთხოვნები	3,166,764			2,692,603		

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობს.

	2020	2019
ბალანსი წლის დასაწყისში	(1,359,195)	(3,037,589)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(73,202)	-
ჩამოწერა	-	1,678,394
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,432,397)	(1,359,195)

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019
ფული ბანკში	1,371,862	2,238,054
ფული სალაროში	36,872	72,009
სულ	1,408,734	2,310,063

15. სესხები

	2020	2019
სესხები დაკავშირებული მხარისგან	1,936,665	-
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	16,908,787	9,564,786
სულ გრძელვადიანი სესხები	18,845,452	9,564,786
სესხები დაკავშირებული მხარისგან	173,000	14,159
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	3,387,807	1,981,923
სულ მიმდინარე სესხები	3,560,807	1,996,082
სულ	22,406,259	11,560,868

ცხრილი გვიჩვენებს სესხების რეკონსილაციას.

	2020	2019
1 იანვარი	11,560,868	58,424,906
სესხების აღება	10,132,504	17,260,775
საპროცენტო ხარჯი	284,404	765,382
გადახდილი პროცენტი	(632,759)	(754,023)
გადახდილი ძირი	(2,115,247)	(14,306,987)
კონვერტირება კაპიტალში	-	(53,873,880)
საკურსო სხვაობის გავლენა	3,176,489	4,044,695
31 დეკემბერი	22,406,259	11,560,868

ჯგუფმა 2020 წელს დაკავშირებული მხარეებიდან მიიღო უპროცენტო და დაბალპროცენტიანი სესხი 5 წლიანი ვადით. ჯგუფმა სესხის საწყისი აღიარებისას წარმოქმნილი მოგება აღიარა ფინანსურ ხარჯებში.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების უზრუნველყოფას წარმოადგენს ჯგუფის ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონება, საბალანსო ღირებულებით 7,543,908 და 7,990,000 ლარი, შესაბამისად.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარეების სასარგებლოდ სესხების უზრუნველყოფას წარმოადგენს ჯგუფის ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონება, რომლის საბალანსო ღირებულება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგებს შესაბამისად 1,874,000 და 1,906,000 ლარს.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	6,584,451	6,156,405
გადასახდელი ხელფასები	101,703	261,436
ვალდებულება რეალიზაციის დაბრუნებიდან	70,691	170,508
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,756,845	6,588,349
საგადასახადო ვალდებულებები	793,213	178,924
საკონტრაქტო ვალდებულება	3,356,561	1,455,095
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,906,619	8,222,368

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული საკონტრაქტო ვალდებულებებიდან ამონაგები აღიარებულია სრულად 2020 წელს.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	მფლობელი	სართო მფლობელი	სულ
2020			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	82,152	2,962,622	3,044,774
საეჭვო ვალების რეზერვი	(13,136)	(956,391)	(969,526)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	69,016	2,006,232	2,075,248
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,144	5,446,123	5,458,267
საიჯარო ვალდებულებები	705,157	2,035,962	2,741,119
სესხები		2,109,665	2,109,665
შემოსავალი	-	201,000	201,000
აქტივების შესყიდვა	-	30,003	30,003
საპროცენტო ხარჯი	(57,211)	(165,181)	(222,392)
2019			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	154,653	1,374,187	1,528,840
საეჭვო ვალების რეზერვი	(47,000)	(706,335)	(753,335)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	107,653	667,852	775,505
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	359,881	4,228,619	4,588,500
საიჯარო ვალდებულებები	819,493	-	819,493
სესხები	-	14,159	14,159
შემოსავალი	117,365	1,040,640	1,158,005
ხარჯები	3,764	16,755	20,519
აქტივების შესყიდვა	792,442	309,851	1,102,293
საპროცენტო ხარჯი	(85,175)	-	(85,175)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა შესაბამისად 364,000 და 476,000 ლარს.

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ჯგუფმა: შეიძინა ძირითადი საშუალებები ჯამური ღირებულებით 9,555,000 ლარი; აიღო სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან, შესაბამისად, 14,042,000 და 1,783,000 ლარის ოდენობით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად არის გამოყენებული თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

20.1 საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა შეძენას ჯგუფი აღრიცხავს შეძენის მეთოდის საფუძველზე. საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაციას ჯგუფი აფასებს რეალური ღირებულებით, რომელიც გამოითვლება როგორც შეძენის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი: მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შეძენილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების მიმართ მყიდველი საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის. საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში როდესაც გაწეული იყო ეს დანახარჯები. შეძენის თარიღისათვის ჯგუფი აფასებს შეძენელ იდენტიფიცირებად აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით.

გუდვილი ფასდება როგორც სხვაობა შემდეგი მაჩვენებლებისა: გადაცემული კომპენსაცია, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებული რეალური ღირებულება, და შეძენილ იდენტიფიცირებად აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შეძენის თარიღისათვის წმინდა ღირებულებას შორის. თუ, შეფასების შემდგომ, შეძენილი იდენტიფიცირებად აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება აღემატება გადაცემულ კომპენსაციას, ნებისმიერი არამაკონტროლებელ წილს შეძენილ საწარმოში და შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებულ რეალური ღირებულებას, მაშინ ნამეტი აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში, როგორც შეძენიდან მიღებული მოგება.

20.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

20.3 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტიდან

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმლის რეალიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და მომხმარებლებისათვის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა ამონაგების მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ამონაგები ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმლის რეალიზაციიდან

ჯგუფი ამონაგებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილში, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფს აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

როდესაც ჯგუფი სხვა მხარეს (მაგალითად, დილერს ან დისტრიბუტორს) აწვდის პროდუქციას საბოლოო მომხმარებელზე მიყიდვის მიზნით, ჯგუფი აფასებს, აღნიშნულმა სხვა მხარემ მოიპოვა თუ არა პროდუქციაზე კონტროლი დროის მოცემულ მომენტში. სხვა მხარისთვის მიწოდებულ პროდუქციას შეიძლება კონსიგნაციის შეთანხმებით ფლობდეს ეს მხარე, თუ მას არ მოუპოვებია კონტროლი მოცემულ პროდუქციაზე. შესაბამისად, ჯგუფი სხვა მხარისთვის პროდუქციის მიწოდებისას არ აღიარებს ამონაგებს, თუ აღნიშნული მხარე პროდუქტს კონსიგნაციის შეთანხმების ფარგლებში ფლობს.

ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც საცალოდ, ასევე საბითუმოდ. საბითუმოდ რეალიზაციის შემთხვევაში, მომხმარებელს აქვს შესყიდული პროდუქციის უკან დაბრუნების უფლება.

მომხმარებლისაგან მისაღები მოსალოდნელი ანაზღაურება არის ცვალებადი, რადგან ხელშეკრულების მიხედვით მომხმარებლებს აქვთ პროდუქციის უკან დაბრუნების უფლება. ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი ოდენობის მეთოდს, შეაფასოს პროდუქცია, რომელიც შეიძლება დაბრუნდეს, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ასახავს ცვალებად მოსალოდნელ ანაზღაურებას, რომელსაც ჯგუფი მოელის. ჯგუფი ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად იყენებს ცვალებადი ანაზღაურების შეფასების შეზღუდვას, რომ განსაზღვროს ცვალებადი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია გარიგების ფასში. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე აღიარებს ვალდებულებას მარაგის დაბრუნებაზე და აქტივს მომხმარებლისგან პროდუქციის დაბრუნების უფლებაზე.

ამონაგები სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობიდან

ჯგუფი მომხმარებლებს აწვდის სასტუმროს მომსახურებას, საკვების და სასმელის მიწოდებას და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს. ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორიც არის სასტუმრო და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

ამონაგები საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამონაგების აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მოსალოდნელი ცვლადი ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია ბრუნვაზე მიბმულ ფასდაკლებაზე, ამცირებს მოსალოდნელ საკონტრაქტო ამონაგებს. ბრუნვაზე მიბმული ფასდაკლების პირობით პროდუქციის მიწოდებისას ჯგუფი ამონაგებს აღიარებს იმ მოცულობით, რომელსაც მაღალი ალბათობით არ მოუწევს უკუგატარება, როდესაც დადგინდება შეთავაზებული ფასდაკლების მიღების შესაძლებლობა.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით პროდუქციის რაოდენობაზე.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

20.4 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

20.5 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

20.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხევა. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	15-50
დანადგარები	5-25
ავტოტრანსპორტი	10-15
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5-15
იჯაროს რემონტი	5

20.7 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულება აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

ცხრილი გვიჩვენებს აქტივის გამოყენების უფლების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	45
კომერციული ფართი	5-10
აღჭურვილობა-დანადგარები	10-15
სატრანსპორტო საშუალებები	3-15

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიანი იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

20.8 ბიოლოგიური აქტივები

მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

მრავალწლიანი ნარგავები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მრავალწლიანი ნარგავების ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი არის იმ კონდიციაში რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. მრავალწლიანი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 50 წელს.

ბიოლოგიური აქტივები გარდა მრავალწლიანი ნარგავებისა საწყისი აღიარებისას და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

20.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

20.10 სესხით სარგებლობის დანახარჯები

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები აღირიცხება აღნიშნული აქტივის თვითღირებულებაში. ამგვარი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი, როდესაც მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები საწარმოს მომავალში მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ის დანახარჯები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, აუცილებელი რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებულ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებში შედის: საპროცენტო ხარჯი, რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული პროცენტი; და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, თუ იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება.

კაპიტალიზაციისთვის შესაბამისი უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა განისაზღვრება კუმულაციის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ჯამური საპროცენტო ხარჯის მოცულობას, რომელიც წარმოიშობოდა ჯგუფს რომ აეღო სესხი სამუშაო ვალუტაში (ქართულ ლარში).

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კუმულაციური მეთოდის გამოყენებისას უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი კაპიტალიზებადი საკურსო სხვაობის თანხა არ შეიძლება აღმატებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჯამურად წარმოშობილ უცხოურ ვალუტაში არსებულ სესხთან დაკავშირებულ საკურსო სხვაობის თანხას. იგი განიხილავს მთელ სამშენებლო პროექტს, როგორც საანგარიშო ერთეულს, რომელიც უგულვებელყოფს საანგარიშგებო პერიოდის თარიღებს. უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, რომელიც განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება, წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასებას. ჯგუფი განსაზღვრავს ჰიპოტეტურ საპროცენტო განაკვეთს სამუშაო ვალუტაში არსებული სესხისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ქართულ ლარში აღებული სესხების საფუძველზე.

თუ სესხის აღება ხდება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის მისაღებად, ამ აქტივთან მიმართებით ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებად ნაწილს საწარმო განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდში ამ სესხთან დაკავშირებით გაწეული ნასესხები სახსრების ფაქტობრივი დანახარჯებიდან იმ საინვესტიციო შემოსავლების თანხის გამოქვითვით, რომელიც მიიღება მოცემული სესხის მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებიდან.

თუ საწარმომ აიღო ჩვეულებრივი, საერთო დანიშნულების სესხი, მაგრამ გამოიყენა რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის დასადგენად გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში იწყება როდესაც საწარმო პირველად დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

- განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;
- გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;
- დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია დროებით ჩერდება როდესაც შეფერხდება აქტივზე აქტიური სამუშაოების წარმართვის პროცესი. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი წყდება როდესაც ძირითადად, მთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო.

20.11 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

20.12 მარაგები

მარაგები გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტისა

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. ჯგუფი იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნილებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნილებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

20.13 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია). თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

20.14 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

20.15 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები) ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს და სხვა მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

20.16 კაპიტალი

ჯგუფის კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

20.17 სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ:

- ა) ჯგუფი შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და
- ბ) გრანტი ექნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ ჯგუფს არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

20.17.1 აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის რეალური ღირებულებით აღიარებული არაფულადი გრანტები ამცირებს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას.

კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გრანტი აღიარდება ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთის ხარჯის შემცირების სახით.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, იმისათვის, რომ გამოჩნდეს აქტივებში დაბანდებული ინვესტიციების საერთო თანხა, ძირითადი საშუალების შეძენა და გრანტის მიღება აღიარდება ინდივიდუალურად.

20.17.2 შემოსავალთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

შემოსავალთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება გადავადებულ შემოსავლად და კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარსდგება სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც ჯგუფი ხარჯად აღიარებს იმ დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება გრანტით.

20.17.3 საბაზროზე დაბალი პროცენტით მიღებული სესხები

საბაზროზე დაბალი პროცენტით სესხებიდან მიღებული სარგებელი განიხილება, როგორც სახელმწიფო გრანტი და გაიანგარიშება, როგორც ტრანზაქციის დანახარჯებით შემცირებულ სესხის რეალურ ღირებულებასა და მიღებულ თანხას შორის სხვაობა. სარგებელი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გრანტთან დაკავშირებული პირობების შესრულების შემდეგ, საბაზროზე დაბალი პროცენტით სესხებიდან მიღებული სარგებელი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება გადავადებულ შემოსავლად და კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარსდება სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც ჯგუფი ხარჯად აღიარებს იმ დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება გრანტით.

20.18 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდი განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ჯგუფი ამზადებს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც გამოხატავს მსოფელი საწარმოს ინდივიდუალურ მმართველობით ანგარიშგებას. სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

1. ჯგუფის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის ყურძნის მოყვანა, ღვინის და სპირტიანი სასმელების წარმოება, წარმოებული პროდუქციის საცალო და საბითუმო ვაჭრობა, სასტუმროს ოპერირება, ღვინის ტურიზმი, სარესტორნე მომსახურება და სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანა და საქმიანობა. ჯგუფის შემადგენელი კომპონენტები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	საქმიანობა
შპს მეღვინეობა ხარება (ჯგუფის დედა კომპანია)	სოფლის მეურნეობა, წარმოება, მომსახურება
შპს ხარება	სოფლის მეურნეობა
შპს პორტა კავკასია	სასტუმროს ოპერირება
შპს მარანული	უმოქმედო

ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი ჯგუფი "მეღვინეობა ხარება" უძველეს ტრადიციებზეა დაფუძნებული. ჯგუფი მუშაობს ვაზის უნიკალური კულტურის შენარჩუნებასა და ღვინის წარმოებაზე, როგორც უძველესი მეთოდით, ასევე უახლესი ტექნოლოგიებით.

თანამედროვე ბაზრისა და ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით ჯგუფმა განახორციელა არსებული ქარხნის რეორგანიზაცია და მნიშვნელოვნად დახვეწა ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა. ჯგუფის პირად საკუთრებაშია მიწები, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, რომელზეც გაშენებულია უნიკალური ქართული და ევროპული ვაზის ჯიშები, საიდანაც შესაბამისად მზადდება მაღალი ხარისხის ღვინოები. ჯგუფს საკუთარ და იჯარით აღებულ მიწებზე გაშენებული აქვს დაახლოებით 870 ჰა ფართობზე ვენახები, რომელთა ძირითადი ნაწილიც მდებარეობს კახეთის და სამეგრელოს რეგიონში. ძირითადად გაშენებული აქვს საფერავის და რქაწითელის ჯიშის ვენახები. ჯგუფს აქვს შემდეგი ევროპული ჯიშის ყურძნები: კაბერნე, შარდონე, სოვინიონი, მუსკატი, პინო და მერლო. ჯგუფი ასევე ხელს უწყობს იმ იშვიათი ჯიშების მოშენებას, როგორებიცაა: ოცხანური საფერე, ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა, ალადასტური, უსახელოური, ხიხვი და ქისი. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ და იჯარით აღებულ მიწებზე გაშენებული ვენახები ნაწილდება შემდეგნაირად:

ვენახები განაშენიანების ჭრილში	გაშენებული ვენახები რეგიონალურ ჭრილში
ახალშენი - 353.74 ჰა	კახეთი - 796.13; ჰა
მსხმოიარე - 670.93 ჰა	სამეგრელო - 90.61 ჰა
გასაშენებელი - 103 ჰა.	იმერეთი - 89.91 ჰა
	რაჭა - 7.61 ჰა
	ლეჩხუმი - 40.41 ჰა

დამატებით ჯგუფი გეგმავს ახალი ვენახების გაშენებას როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, რომლისთვისაც სოფლის განვითარების სააგენტოსგან ჯგუფმა 2019 წლის ბოლოს და 2020 წლის განმავლობაში მიიღო გრანტები და შეღავათიანი აგროკრედიტები ვენახების გასაშენებლად. მოცემული პროგრამის თანადაფინანსებით, სახელმწიფო მოახდენს ვენახების გაშენების პერიოდში, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, სესხების საპროცენტო ხარჯის დიდი ნაწილის დაფინანსებას. ჯგუფმა 2020 წლიდან დაიწყო სესხების ათვისება, რომლის მიზნობრიობაც არის ვენახების გასაშენებლად საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა და ვენახების გაშენება.

ჯგუფის უმთავრესი მიზანია, აწარმოოს უმაღლესი ხარისხის ღვინო ქართული და ევროპული მეთოდებით საკუთარი ვენახებიდან. არსებული ჯიშების მოშენების გარდა, ჯგუფის კიდევ ერთი დანიშნულებაა, დაამუშაოს უძველესი ტრადიციული ქართული ყურძნის ჯიშები. ვაზის ჯიშები რეგიონალური გავრცელების ჭრილში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- აღმოსავლეთ საქართველო - მწვანე, რქაწითელი, საფერავი, ქისი, ძელშავი და ხიხვი.
- დასავლეთ საქართველო - ალექსანდროულ, თამარისვაზი, კაპისტონი, კრახუნა, მუჯურეთული, ოცხანურისაფერე, ოჯალეში, პუმპულა, უსახელოური, ციცქა, ცოლიკოური და ხარისთვალა.

1. ჯგუფის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)

ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება და სხვადასხვა კლიმატური პირობები ჯგუფს საშუალებას აძლევს აწარმოოს მაღალი ხარისხის განმასხვავებელი ნიშნის მქონდე პროდუქტი. განსაკუთრებული მუშაობის სტილი და ასევე ღვინის განვითარება მარაწში მიგვანიშნებს “ცოცხალ” ასორტიმენტზე.

მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები გამუდმებით ცდილობენ გააუმჯობესონ ღვინოების ხარისხი. ჯგუფი აწარმოებს დასავლეთ საქართველოს ღვინოებს: ციცქას, კრახუნას, ცოლიკოურს, ოცხანურ საფერეს, ალადასტურს, უსახელოურს, აღმოსავლეთ საქართველოს ღვინოებს: რქაწითელს, მწვანეს, ხიხვს, ქისს, საფერავს, მუკუზანს, ქინძმარაულს, ახაშენს. ჯგუფს საწარმოო მნიშვნელობით გაშენებული აქვს 25 დასახელების ვაზის ჯიში, აქედან 18 ქართული და 7 ევროპული. ჯგუფი დიდ ყურადღებას აქცევს იშვიათი ქართული ვაზის ჯიშების მოშენებას. ჯგუფის მიერ გაშენებული ქართული ვაზის ჯიშები:

- გავრცელებული ვაზის ჯიშები - მწვანე, რქაწითელი, საფერავი, ციცქა და ცოლიკოური.
- იშვიათი ვაზის ჯიშები - ალექსანდროული, თამარისვაზი, კაპისტონი, კრახუნა, მუჯურეთული, ოცხანურისაფერე, ოჯალეში, პუმპულა, უსახელოური, ქისი, ძელშავი, ხარისთვალა და ხიხვი.
- ევროპული ვაზის ჯიშები: ალიგოტე, კაბერნე, მერლო, მუსკატი, პინო, სოვინიონი და შარდონე.

ჯგუფი მიზნად ისახავს გადარჩინოს და განავითაროს სხვა უიშვიათესი ქართული ვაზის ჯიშები. ამ მიზნით ჯგუფს გაშენებული აქვს საკოლექციო ვაზის ჯიშებისგან შემდგარი ვენახი.

2014-2015 წლებში ჯგუფმა განაახლა ქარხნა, რომლის ფარგლებშიც: (1) რეკონსტრუქცია-მოპირკეთება განიცადა ქარხნის შენობამ და მიწისქვეშა საცავმა (2) გაეშვა ახალი საწარმოებლო საამქრო და დამონტაჟდა ახალი ხაზი; (3) აშენდა თანამედროვე საწარმოო მასალების საწყობი; (4) მომზადდა ტერიტორია ტურისტული ზონის მშენებლობისთვის (5) შეძენილ იქნა მაღალტექნოლოგიური ლაბორატორია ღვინის ხარისხის კონტროლის მიზნით. თერჯოლის მარაწში ერთმანეთთან შერწყმულია 8000 წლიანი ტრადიციული მეღვინეობა და დარგის 21-ე საუკუნის ინოვაციური მიღწევები. ესაა ადგილი, სადაც ჯგუფი აწარმოებს 20-ზე მეტი დასახელების ვაზის ჯიშიდან 40-ზე მეტი სახეობის ღვინო. ჯგუფის აღმოსავლეთ საქართველოს მარაწი მდებარეობს ვაჩნაძიანში (კახეთში) და ღვინოს აწარმოებს 1957 წლიდან, ეს მარაწი უმეტესად აწარმოებს სუფრის ღვინოებს და წარმოების მოცულობა აქვს 9,000 ტონა წლის განმავლობაში. ჯგუფს ასევე ეკუთვნის ბრენდის ქარხანა ახმეტაში (კახეთში). ჯგუფს აქვს ღვინის მაღაზიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: თბილისი, ბათუმი, მცხეთა, თერჯოლა, ყვარელი, ყაზგები, ფოთი.

ყვარელში, ალაზნის ველის განაპირას მდებარეობს ჯგუფის უნიკალური ღვინის საცავი - გვირაბი. გვირაბი კავკასიონის კლდის მასივშია გამოკვეთილი, იგი 1962 წელს სპეციალურად ვაზისა და ღვინის მსოფლიო კონგრესისთვის გაიხსნა და ამჟამად ჯგუფის ღვინის საცავს წარმოადგენს. აქ რამდენიმე ათეული წელი ინახებოდა კახეთის რეგიონის საუკეთესო ღვინოები. მასში მთელი წლის მანძილზე შენარჩუნებულია ბუნებრივი ტემპერატურა 12-14 C გრადუსი, ხოლო ტენიანობა 70%-ს შეადგენს, რაც იდეალურ პირობას ქმნის ღვინის შენახვისა და დამკვლელებისათვის. ტურისტულ კომპლექსში შედის ასევე პრემიუმ კლასის რესტორანი „ხარება“, რომელიც მთაზეა განთავსებული და ღვინის საძველეს ლიფტით უკავშირდება.

ჯგუფი საკუთარი წარმოების ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმლის რეალიზაციას ახდენს როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორის ბაზარზე. ჯგუფისთვის ძირითად საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენს რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი. ასევე ჯგუფი ახორციელებს ექსპორტს პოლონეთში, იტალიასა და ლატვიაში.

ჯგუფმა 2018 წელს გახსნა ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „პორტა კავკასია“ (PORTA CAUCASIA) ყაზბეგში. მოცემული სასტუმრო მოიცავს 33 სასტუმროს ნომერს, რომელიც ძირითადად ელიტარულ სეგმენტზეა გათვლილი. მის ტერიტორიაზე ორი რესტორანია, მათ შორის ერთში ქართული, მეორეში კი ევროპული სამზარეულოა. ასევე სასტუმროს ტერიტორიაზე განთავსებულია ღვინის მაღაზია. 2020 და 2019 წლის განმავლობაში სასტუმროს დატვირთულობის კოეფიციენტი იყო საშუალოდ 21% და 54%. 2020 წელს დატვირთულობის კოეფიციენტის შემცირება განპირობებული იყო COVID-19 პანდემიის გამო, თუმცა სასტუმროს მუშაობა არ გაუჩერებია და ჩვეულებრივ ემსახურებოდა სტუმრებს.

ჯგუფი ახდენს ლურჯი მოცვის პლანტაციების გაშენებას. ჯგუფის საქმიანობის ერთ ერთი მიმართულებაა მეფუტკრეობა. ჯგუფი ფლობს ფუტკრის 780 ოჯახს, საიდანაც 2020 წლის განმავლობაში შეძლო 5,000 კილო გრამი თაფლის წარმოება. ჯგუფი აწარმოებს შემდეგი სახეობის თაფლს: ამორფა, აკაცია, წაბლი-ცაცხვი-აკაცია, წაბლი-ცაცხვი და ოქროწყვლა.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

2. ჯგუფის 2020 წლის შედეგების მიმოხილვა

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (info.wine@georgianwine.gov.ge), 2020 წელს საქართველოდან მსოფლიოს 60 ქვეყანაში 92,4 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო იყო ექსპორტირებული, რაც 2019 წლის რაოდენობაზე 1%-ით ნაკლებია. ექსპორტირებული ღვინის, ღირებულება 216,5 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2019 წლის ანალოგიურ მონაცემზე 9%-ით ნაკლებია.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: პოლონეთი - 27% (5226,366 ბოთლი), აშშ - 34% (911,931 ბოთლი) და დიდი ბრიტანეთი - 154% (428,796 ბოთლი). კორონავირუსის მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე კლებდა ჩინეთის ბაზარზე, სადაც ექსპორტირებულია 4,605,768 ბოთლი (კლება 35%).

ზრდა აღსანიშნავია ასევე შემდეგ ქვეყნებში: უკრაინა - 4% (10,660,884 ბოთლი), ბელარუსი - 32% (3,677,769 ბოთლი), ლატვია - 7% (1,598,455 ბოთლი), გერმანია - 4% (697,697 ბოთლი), კანადა 16% (188,286 ბოთლი), აზერბაიჯანი - 32% (183,164 ბოთლი), საფრანგეთი - 22% (183,164 ბოთლი), სამხრეთ კორეა - 353% (89,394 ბოთლი) და ა.შ.

2020 წელს სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 376-მა კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, ექსპორტირებულია 32,7 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 4%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 66 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (კლება 3%). ექსპორტირებულია 428 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის კლებამ 31% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 1,2 მლნ აშშ დოლარს აღწევს (კლება 31%).

დაცული ადგილწარმოშობის ღვინოებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ – 18,676,195 ბოთლი, შემდეგ მოდის: „წინანდალი“ – 4,458,503 ბოთლი, „მუკუზანი“ – 4,140,627 ბოთლი, „ახაშენი“ – 1344052 ბოთლი, „ხვანჭკარა“ – 987,530 ბოთლი, „ტვიში“ – 254,736 ბოთლი, „ყვარელი“ – 120,318 ბოთლი, „ნაფარელი“ – 100,695 ბოთლი და ა.შ.

მთლიანად ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 336 მლნ აშშ დოლარი, რაც 5%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელზე.

ექსპორტიორი ქვეყნების ათეულია: რუსეთი (57 644 414), უკრაინა (10 660 884), პოლონეთი (5 226 366), ჩინეთი (4 605 768), ბელარუსი (3 677 769) ყაზახეთი (2 886 662), ლატვია (1,711,078), აშშ (911 931)ესტონეთი (705 720), და გერმანია (697 697).

ჯგუფი აწარმოებს ღვინოს, ბრენდის, შუშხუნა ღვინოს და ჭაჭას და ბაზარზე არსებული მონაცემებით, ჯგუფი ერთერთ მოწინავე პოზიციას იკავებს ღვინისა და ბრენდის წარმოებაში, როგორც საქართველოში, ისე კავკასიის რეგიონში.

ჯგუფი მიერ 2020 წელს მიღებული შემოსავლები შესადარის პერიოდთან შედარებით შემცირდა 20%, რაც ძირითადად განაპირობა პანდემიამ, რის გამოც 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა ამონაგები ადგილობრივ ბაზრიდან, თუმცა ჯგუფმა მოახდინა ექსპორტიდან ამონაგების ზრდა, რაც შესადარის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 19%.

	2020	2019
ამონაგები ექსპორტზე საბითუმო რეალიზაციიდან	23,587,127	19,812,343
ამონაგები ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო რეალიზაციიდან	1,847,627	6,500,033
ამონაგები ადგილობრივ ბაზარზე საცალო რეალიზაციიდან	923,568	3,846,704
ამონაგები სასტუმრო სარესტორნო და სხვა ტურისტული მომსახურებიდან	792,037	4,411,680
სხვა ამონაგები	525,168	227,819
სულ	27,675,527	34,798,579

2020 წელს ქვეყნის მასშტაბით საქართველოში რთველი 2020-ის ფარგლებში გადამუშავდა: • 175 ათასი ტონა რქაწითელი; • 80 ათასი ტონა საფერავი; • 5 ათასი ტონა კახური მწვანე; • 2400 ტონა ალექსანდროული და მუჯურეთული; დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის . ჯგუფმა მოახდინა მთლიანი მოსავლის 2,6% მიღება საკუთარი ვენახებიდან, რომელმაც 7 048 ტონა შეადგინა.

საქართველოში ღვინისა და სპირტიანი სასმელების სექტორის ბრუნვა 2009-19 წლებში საკმაოდ მაღალი ტემპით გაიზარდა (საშუალოდ 25%) და 2019 წელს 1,061 მლნ ლარი შეადგინა. 2020 წელს COVID-19 პანდემიის პირობებში ექსპორტირებული ღვინის, ღირებულება 216,5 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2019 წლის ანალოგიურ მონაცემზე 9%-ით ნაკლებია, სექტორი ექსპორტზეა დამოკიდებული, რადგან შემოსავლის 81% სწორედ ექსპორტზე მოდის. ამასთან, აექსპორტო ბაზრები ნაკლებად დივერსიფიცირებულია და დიდია რუსეთისა და პოსტ-საბჭოთა

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

2. ჯგუფის 2020 წლის შედეგების მიმოხილვა (გაგრძელება)

ქვეყნების წილი. ეს დამოკიდებულება რისკიანია, რადგან ხსენებული ქვეყნების მოხმარების კლება დიდ გავლენას ახდენს სექტორის გაყიდვებზე. (www.tbccapital.ge).

ფინანსური ანგარიშგების შეფასებისთვის ჯგუფი იყენებს შემდეგ ფინანსური კოეფიციენტებს:

	2020	2019
ლიკვიდურობის კოეფიციენტები		
მიმდინარე კოეფიციენტი	2.44	3.71
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.38	0.69
აქტივების მართვის კოეფიციენტები		
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	0.61	0.78
მომგებიანობის კოეფიციენტები		
საერთო მოგების მარჟა რეალიზაციიდან	24%	26%
საერთო მოგების მარჟა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან	31%	16%
წმინდა მოგების მარჟა	-5%	-18%
უკუგება მთლიან აქტივებზე (ROA)	-1%	-6%
უკუგება მთლიან კაპიტალზე (ROE)	-1%	-7%

- 1) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივები შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან. კოეფიციენტის ზრდა გამოიწვია მოკლევადიანი სესხების კონვერტირებამ კაპიტალში
- 2) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მარაგები შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან.
- 3) მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი - თვითღირებულება შეფარდებული საშუალო მარაგებთან. კოეფიციენტის შემცირება განაპირობა მარაგის საბოლოო ნაშთის შემცირებამ. რაც თავის მხრივ უკავშირდება დაბალ მოსალოდელიანობას 2019 წელს.
- 4) საერთო მოგების მარჟა რეალიზაციიდან - საერთო მოგება რეალიზაციიდან შეფარდებული ამონაგებთან. შემცირება გამოწვეულია მარჟის ცვლილებით. ასევე შემცირება განაპირობა 2019 წელს ბრენდმასალის რეალიზაციამ უარყოფითი მარჟით.
- 5) საერთო მოგების მარჟა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან - საერთო მარჟა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შეფარდებული სოფლის მეურნეობის საწყისი აღიარებიდან მიღებული შემოსავალთან. შემცირება გამოიწვია მოსავლიანობის მნიშვნელოვანმა შემცირებამ და ასევე წმინდა სარეალიზაციო ფასის შემცირებამ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნა 6.
- 6) წმინდა მოგების მარჟა - სრული შემოსავალი/(ზარალი) შეფარდებული ამონაგებთან. უარყოფითი მაჩვენებელი გამოწვეულია სასოფლო სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირებით და საკურო სხვაობიდან მიღებული ზარალის მნიშვნელოვანი ზრდით. ჯგუფმა დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები დააკონვერტირა კაპიტალში, შესაბამისად ხელმძღვანელობა ვარაუდობს რომ საკურო სხვაობიდან მიღებული ზარალი მომავალ საანგარიშგებო პერიოდში არ არის მოსალოდნელი აღნიშნული მოცულობით.
- 7) უკუგება მთლიან აქტივებზე - სრული შემოსავალი/(ზარალი) შეფარდებული მთლიან აქტივებთან. მაცვენების გაურესება გამოიწვია სრულმა ზარალმა, რისი გამომწვევი მიზეზებიც ახსნილია ზემოთ.
- 8) უკუგება მთლიან კაპიტალზე - სრული შემოსავალი/(ზარალი) შეფარდებული მთლიან კაპიტალთან. ცვლილებების გამომწვევები მიეზები განმარტებულია ახსნილია ზემოთ.

3. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები

ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში და ასევე, მოახდინონ ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება. ჯგუფს ღვინის გზის განვითარების ფარგლებში აქვს შემდეგი გეგმები:

- არატრადიციული ბაზრების მოძიება (ძირითადად აქცენტი გაკეთდება აზიურ ბაზრებზე);
- ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე;
- სადისტრიბუციო ქსელის გაფართოება;
- ქვეყნის ღვინის და იშვიათი ყურძნის ჯიშებისგან დამზადებული ღვინის წარმოება;
- ადგილობრივ ბაზარზე მაღალხარისხიანი ბოთლის ღვინის მიწოდება.

ჯგუფი მიმდინარე ეტაპზე არის ახალი ქარხნის პროექტის მომზადების ეტაპზე. ჯგუფი გეგმავს ყვარლის რაიონში ახალი ღვინის ქარხნის მშენებლობას, რომელსაც წლის განმავლობაში შეეძლება 10,000 ტონი ღვინის წარმოება. მოცემული ღვინის ქარხნის მშენებლობა იგეგმება ყვარლის რაიონში, სოფელ საბუეში, ჯგუფის ვენახების ძირითადი მასივების სიახლოვეს. ასევე ხელმძღვანელობა გეგმავს ქარხანასთან ერთად მოაწყოს ტურისტული ზონაც, რომელიც მოიცავს, სადეგუსტაციო სივრცეს, ტურისტულ ბილიკს ქარხნის შიდა ტერიტორიაზე, ვერანდას, რომლიდანაც იშლება ულამაზესი ხედი ალაზნის ველზე და კავკასიონის მთათა სისტემაზე.

2019 წელს დაიგეგმა მუკუზნის ღვინის ქარხნის პროექტის შეცვლა და დისტრილაციის საამქროდ გადაწყობა. პროექტით გათვალისწინებულია ჭაჭის სახდელი საამქროს განთავსება კახეთში, სოფელ მუკუზანში, რომელიც ჯგუფის ღვინის ქარხნიდან დაშორებულია 8,7 კმ-ით. ჯგუფის ღვინის ქარხანა მდებარეობს სოფელ ვაჩნაძიანში, სადაც ყოველწლიურად მუშავდება ჯგუფის საკუთრებაში არსებული 780 ჰა მსხმოიარე ვენახიდან მოწეული ყურძენი. საამქროს ლოკაცია იდეალურია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- სანედლეულო ბაზის სიახლოვე - ყურძენი გადამუშავდება საამქროდან 8,7 კმ-ით დაშორებულ ღვინის ქარხანაში, საიდანაც საწარმოო ნედლეულის ტრანსპორტირებას სჭირდება 10 წთ და ლოჯისტიკური ხარჯებიც მინიმალურია;
- ნედლეული გადამუშავდება მისი ფორმირებიდან მაქსიმუმ 2-3 საათში, რაც საბოლოო პროდუქტის საუკეთესო ხარისხის აუცილებელი წინაპირობაა;
- საამქროსთვის განკუთვნილი ტერიტორია უზრუნველყოფილია ყველა საჭირო კომუნალური და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით;
- საამქრო განთავსდება საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ სოფელში, რომელიც ქალაქ გურჯაანიდან რამდენიმე კმ-ით არის დაშორებული, რაც საამქროს კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებისთვის ხელსაყრელი პირობაა.

ჯგუფის წარმატებას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- ნედლეულის საკუთარი წყარო;
- ევროპული წარმოების თანამედროვე დანადგარები;
- მაღალკვალიფიციური საწარმოო გუნდი და მენეჯმენტის პროფესიონალიზმი;
- მრავალწლიანი გამოცდილება პროდუქციის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზაციის.

საწარმო ადიჭურვება თანამედროვე დანადგარებით. საწარმოო სიმძლავრეების გათვალისწინებით, საამქროს საშუალება ექნება ყოველწლიურად გადაამუშაოს 600 ტონამდე ყურძნის ჭაჭა და მიიღოს 100 ათასი ლიტრამდე ჭაჭის არაყი, რომლის ალკოჰოლის შემცველობა იქნება 45%. მიღებულ პროდუქტს ექნება სუფთა მცენარეული ტონები და სრული სხეული. ჭაჭის არყის დაფასოება მოხდება 0,500 და 0,250 ლიტრიან ბოთლებში. მზა პროდუქცია გაიყიდება როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზრებზე. ჯგუფი ახალი დანადგარების გამოყენებით გაზრდის როგორც წარმოების რაოდენობას ასევე მის ხარისხს, რეალიზაციისთვის კი გამოიყენებს უკვე ათვისებულ ბაზრებს, რაც მინიმუმამდე დაიყვანს პროდუქციის პოზიციონირებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წარმოებული პროდუქციის 20% გათვალისწინებულია ადგილობრივი ბაზრისთვის, ხოლო 80% ექსპორტისთვის. ჭაჭის არყის გარდა კომპანია გეგმავს ბრენდის წარმოებას, რომლისთვისაც შეიძინა ევროპული წარმოების დანადგარები. დღეისათვის კომპანია ფლობს 5 და 8 წლიანი დაძველების საბრენდე სპირტს, რომლის ჩამოსხმა განხორციელდება 2021 წელს.

3. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები (გაგრძელება)

მთავარი საექსპორტო ქვეყნებია: რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ჩინეთი, ლატვია. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 19 ადამიანის დასაქმება. ჯგუფი წარმოებული პროდუქციის პირველი პარტიის გამოშვებას გეგმავს 2022 წელს, ხოლო ყოველ მომდევნო წელს წარმოებისა და რეალიზაციის გაზრდას. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 3 250 000 ლარს. 35% ფინანსდება სესხით, 19% გრანტით, ხოლო 46% ჯგუფის საკუთარი სახსრებით.

2021 წლიდან ჯგუფი გეგმავს სოფლის მეურნეობის მიმართულებით მევენახეობის დარგის განვითარებას და აქტიურად ახდენს ახალი ვენახების გაშენებას როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში.

სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ, ჯგუფი ახორციელებს ლურჯი მოცვის პლანტაციების გაშენებას აქტიურად. ლურჯ მოცვზე მაღალი მოთხოვნაა როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე. მოცვი ექსპორტზე გადის ევროკავშირის ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთში, რუსეთში და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

2020 წელს საქართველოში 750 ტონა მოცვის მოსავალი იყო აქედან 89%-ის (665 ტონა) ექსპორტი [\$3.8 მლნ-ის მოცულობის] განხორციელდა. დანარჩენი კი, შიდა მოხმარებისთვის გადამუშავდა. სპეციალისტების პროგნოზით, საქართველო 2021 წელს მოცვის მოსავლის 1300-1500 ტონით გაზრდას შეძლებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შეუძლია, შევიდეს მსოფლიოში მოცვის 25 უმსხვილეს ექსპორტიორთა სიაში და მიუახლოვდეს სერბეთის და უკრაინის მაჩვენებლებს. ქართული მოცვის ექსპორტი 2020 წელს ძირითადად რუსეთის ბაზარზე განხორციელდა; 12 ტონა გაიგზავნა პოლონეთში. 6-8 ტონა - სომხეთში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და უკრაინაში. გაყიდვების მხოლოდ ერთ ბაზარზე დამოკიდებულება ყოველთვის მაღალი რისკის შემცველია. ამიტომ ქვეყანა უნდა შეეცადოს ალტერნატიული ბაზრები მოიძიოს, მით უფრო მაშინ, როდესაც საქართველოში ლურჯი მოცვი მაშინ მწიფდება, როდესაც სრულდება ბაზრის მომარაგება ესპანეთიდან, ხოლო უკრაინიდან, რუმინეთიდან და პოლონეთიდან ეს პროცესი ჯერ არ დაწყებულა. მოცვის ტრანსპორტირების შესაძლებლობის გათვალისწინებით, საქართველოს ამ კენკრის მიწოდება ევროკავშირის ბაზრებზეც კი შეუძლია. თუმცა, მომდევნო წლებში რუსეთში ლურჯ მოცვზე ფასის ზრდაა მოსალოდნელი და ის ევროკავშირის ბაზარზე არსებულ ფასზე მაღალი იქნება, ამიტომ, ცხადია საქართველოდან მოცვის საექსპორტო მარაგების დივერსიფიკაცია შესაძლებელი იქნება. www.east-fruit.com

ჯგუფი გეგმავს სასტუმრო ბიზნესის განვითარებას საქართველოს მასშტაბით, მათ შორის კახეთში. პროექტის მიხედვით იგეგმება, ყვარელში, ტურისტულ ზონაში, 50-55 ნომრიანი 3 ვარსკვლავიანი სასტუმროს აშენება, რომლის მშენებლობის დაწყება და დასრულება იგეგმება 2022 წელს.

4. ჯგუფის მმართველობა და სტრუქტურა

ჯგუფის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელთა კრება, რომელიც კრებათა შორის პერიოდში მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. საბჭოს დაქვემდებარებაშია მრჩეველთა აპარატი და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური. ჯგუფის ოპერატიულ მართვას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი, მისი პირველი მოადგილე, ფინანსური და კომერციული დირექტორები, დირექტორი სტრატეგიული განვითარების საკითხებში. ჯგუფის სტრუქტურული დანაყოფები და ზოგადი ფუნქციური შემადგენლობა:

- **ადმინისტრაციულ სამსახურში** გაერთიანებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, კანცელარია, ავტოპარკი და სამეურნეო განყოფილება;
- **იურიდიული სამსახური** არ მოიცავს ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებს;
- **საკადრო რესურსების მართვის სამსახური** არ მოიცავს ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებს;
- **უსაფრთხოების სამსახური** შედგება დაცვის განყოფილებისა და კომერციული უსაფრთხოების განყოფილებისგან;
- **შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახური** შედგება ადგილობრივი შესყიდვების განყოფილების, საერთაშორისო შესყიდვების განყოფილებისა და ლოჯისტიკის განყოფილებისგან;
- **ცენტრალური საწყობი** განთავსებულია ჯგუფის სათავო ოფისის ტერიტორიაზე;
- **ფინანსური სამსახური** შედგება ფინანსური ანალიზისა და კონტროლის განყოფილების, საგემო-საინვესტიციო განყოფილებისა და საბანკო-საკასო ოპერაციების განყოფილებისგან;
- **ბუღალტერია** არ მოიცავს ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებს;
- **მარკეტინგის სამსახური** შედგება მარკეტინგული კვლევებისა და დაგეგმვის განყოფილების და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სერვისების მართვის განყოფილებისგან;
- **ადგილობრივი გაყიდვების სამსახური** შედგება პრისელინგის განყოფილების, დისტრიბუციის განყოფილებისა და საცალო გაყიდვების განყოფილებისგან;
- **საერთაშორისო გაყიდვების სამსახური** მოიცავს მიმართულებებს საექსპორტო რეგიონების მიხედვით;
- **ტექნიკური სამსახური** მოიცავს საწარმოო-ტექნიკურ, მექანიზაცია-დანადგარების, სამშენებლო-სარემონტო მიმართულებებს;
- **აგრარული დეპარტამენტი** შედგება ყვარლის სავენახე მეურნეობის, ვაჩნაძიანის სავენახე მეურნეობის, საბუეს სავენახე მეურნეობის, სვირის სავენახე მეურნეობის, ეწერის სავენახე მეურნეობის, ამბროლაურის სავენახე მეურნეობის, ოყურემის სავენახე მეურნეობის, ზუგდიდის (ოდიში და ახალსოფელი) სავენახე მეურნეობისა და ყვარლის საფუტკრე მეურნეობისგან;
- **მეღვინეობის დეპარტამენტი** შედგება ყვარლის მარნის, ვაჩნაძიანის მარნის, მუკუზნის მარნისა და თერჯოლის მარნისგან;
- **ყვარლის გვირაბის კომპლექსი** შედგება რესტორანი „ხარებას“, ტურისტული კომპლექსის, საფირმო მაღაზიისა და ღვინის საცავისგან - ენოთეკა;
- **საფირმო მაღაზიების ქსელი** მოიცავს თბილისის (რუსთაველის ქ.), თბილისის (გორგასლის ქ.), მცხეთის N1, მცხეთის N2, თერჯოლის, ფოთის, ბათუმის მაღაზიებს.
- **შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახური** მოიცავს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიმართულებებს.

ხელმძღვანელობისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ჯგუფში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, აუცილებელი ტრენინგების ჩატარებაზე, ასევე ხდება თანამშრომლების გაგზავნა სხვადასხვა ქვეყნებში ცოდნის და გამოცდილების მისაღებად. ხელმძღვანელობა სისტემატიურად არის ჩართული პროფესიული კადრების ძიებაში, ცდილობს მათი საჭიროებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ახორციელებს ინვესტიციებს მათი პროფესიული განათლების კუთხით და ერთგულების წახალისების მიზნით.

5. ჯგუფის ძირითადი მიღწევები და შედეგების მიმოხილვა

ჯგუფის ამონაგები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის 15% მოდის ადგილობრივ ბაზარზე, ხოლო 2019 წელს შეადგენდა 43% (შემცირება უკავშირდება პანდემიას). შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება, უმუშევრობის და ინფლაციის დონე.

ჯგუფზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნესგარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო. საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი ხარისხის გამო (საბანკო ანაზღაურებისა და სესხების დოლარიზაციის მიხედვით), მომხმარებლების მყიდველობით უნარზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ვალუტის მერყეობამ, კერძოდ, ლარის გაუფასურებამ დოლარისა და ევროს მიმართ. ჯგუფს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ სასესხო დავალიანება აქვს, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანწილად წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. ლარის შემდგომი გაუფასურება გაზრდის ჯგუფის საპროცენტო ხარჯებს და სხვა დანახარჯებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ცდილობს ვალუტის ცვალებადობის ეფექტის მინიმუმამდე დაყვანას, ასეთმა ცვალებადობამ შეიძლება მის შედეგებზე გავლენა იქონიოს.

საქართველოს ესაზღვრება აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი და რუსეთი და მის საზღვრებში მოქცეულია ორი ოკუპირებული ტერიტორია - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. რეგიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება უარყოფითად მოქმედებს მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებზე. პერიოდულად რუსეთის მიერ ხდება სანქციები დაწესება. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებამ და 2017 წლის თებერვალში ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის ინიციატივის დამტკიცებამ შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს ამ ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობა.

ბოლო წლებში რუსეთსა და უკრაინაში ეკონომიკის ზრდის ტემპი შენელებულია, უკრაინაში კი პოლიტიკური არასტაბილურობის მაღალი დონეა. მოცემული გარემოება წარმოქმნის რისკებს, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა გამოიწვიოს მოახდინოს ჯგუფის მიერ ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალზე. თუ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ამ ქვეყნებში არ გამოსწორდება რუსეთსა და უკრაინაზე ექსპორტის კონცენტრაციისა და ამ ქვეყნებზე დამოკიდებულების შესამცირებლად ხელმძღვანელობა აქტიურად ეძებს ექსპორტის ახალ შესაძლებლობებს, ძირითადი აქცენტი კეთდება აზიურ ბაზრებზე და საჭიროების შემთხვევაში სრულად გადაერთვება ახალ ბაზრებზე, რადგან აზიურ ბაზრებზე ქართულ ღვინოზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება.

ჯგუფი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს ხელმძღვანელი პირებისა და კვალიფიციური თანამშრომლების აყვანას და შენარჩუნებას. წამყვანი ხელმძღვანელობის ამჟამინდელ გუნდში შედიან პირები, რომელთაც მნიშვნელოვანი გამოცდილება და კომპეტენცია აქვთ. იმას, თუ რამდენად შესძლებს შეინარჩუნოს, წახალისოს და მოიზიდოს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი პირები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი საქმიანობისთვის. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ჯგუფი შესძლებს საჭირო კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას. ხელმძღვანელობის წამყვანი გუნდის შემცირება ან მისი წევრების დაკარგვა, საჭირო სპეციალისტების მოზიდვის, გადამზადების ან შენარჩუნების თვალსაზრისით მარცხი, უარყოფითად იმოქმედებს საქმიანობაზე.

ასევე ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რაც სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის სახელის (ბრენდი) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რაც გულისხმობს პროცესის, იდეის ან იმიჯის ბაზარზე ისე წარმოდგენას, როდესაც მომსახურება და პროდუქტი უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და გამორჩეულად ხდება იდენტიფიცირება ამ კონკრეტული კომპანიისა. ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, ჯგუფი მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. კორონავირუსის შედეგები შეიძლება იყოს ძალიან ფართოდ გავრცელებული და ბევრ ინდუსტრიას შეეხოს. ჯგუფის საქმიანობაზე მოახდინა შემდეგი გავლენა:

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ჯგუფი ძირითადი მიღწევები და შედეგების მიმოხილვა (გაგრძელება)

- დაიკეტა ღვინის მაღაზიები, რამაც გამოიწვია ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვების წილის შემცირება;
- დაიკეტა ყვარლის გვირაბის რესტორანი და ტურისტული ზონა;
- შემცირდა ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო რეალიზაცია, რადგან პანდემიის პერიოდში დაიკეტა სავაჭრო ობიექტები და ოპერირებას განაგრძობდნენ ძირითად შემთხვევაში მხოლოდ დიდი სავაჭრო ქსელები.

პანდემიამ ასევე იმოქმედა საექსპორტო და ადგილობრივ გაყიდვებზე (იხ. ცხრილი). ჯგუფის ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვები 2020 წელს საგრძნობლად შემცირდა 2019 წელთან შედარებით, რაც გამოიწვია სასტუმროების, რესტორნების და სავაჭრო ობიექტების დახურვამ, შესაბამისად ბოთლის ღვინოზე მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე ყველაზე მეტად შემცირდა. რაც შეეხება საერთაშორისო ბაზარზე გაყიდვების მოცულობას, გაიზარდა 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რადგან ევროპის ბაზარზე კოვიდ 19-ისგან გამოწვეული გარემოებების შედეგად ევროპის ბაზარზე შემცირდა საექსპორტო შემოსავალი ღვინის რეალიზაციიდან, მაგალითად საფრანგეთში 2020 წლის I კვარტალში შემცირდა 24%, luxus-plus.com.

ჯამურად 2021 წელს საშუალოდ 26%-ით გაიზარდა ჯგუფის საექსპორტო გაყიდვები ღირებულება 2020 წელთან შედარებით.

თვე	დისტრიბუცია			საფირმო მაღაზიები			ექსპორტი
	ბოთლის ღვინო	ჩამოსასხმელი ღვინო	PET	ბოთლის ღვინო	ჩამოსასხმელი ღვინო	PET	
იან	-60%	-92%	-67%	-77%	-68%	-40%	-24%
თებ	18%	-83%	-45%	-71%	-58%	99%	132%
მარ	162%	-81%	22%	-31%	-19%	114%	-61%
აპრ	541%	50%	108%	-	-	-	37%
მაი	1350%	2280%	242%	838%	225%	385%	212%
ივნ	44707%	-47%	82%	68%	51%	182%	64%
ივლ	2203%	360%	88%	448%	124%	382%	-39%
აგვ	881%	245%	76%	327%	173%	25%	146%
სექ	662%	71%	119%	214%	67%	6%	-30%

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 4 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ზურაბ გოზალიშვილი

ფინანსური დირექტორი

სალომე ნიკოლეიშვილი

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ჯგუფი ძირითადი მიღწევები და შედეგების მიმოხილვა (გაგრძელება)

- დაიკეტა ღვინის მაღაზიები, რამაც გამოიწვია ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვების წილის შემცირება;
- დაიკეტა ყვარლის გვირაბის რესტორანი და ტურისტული ზონა;
- შემცირდა ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო რეალიზაცია, რადგან პანდემიის პერიოდში დაიკეტა სავაჭრო ობიექტები და ოპერირებას განაგრძობდნენ ძირითად შემთხვევაში მხოლოდ დიდი სავაჭრო ქსელები.

პანდემიამ ასევე იმოქმედა საექსპორტო და ადგილობრივ გაყიდვებზე (იხ. ცხრილი). ჯგუფის ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვები 2020 წელს საგრძნობლად შემცირდა 2019 წელთან შედარებით, რაც გამოიწვია სასტუმროების, რესტორნების და სავაჭრო ობიექტების დახურვამ, შესაბამისად ბოთლის ღვინოზე მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე ყველაზე მეტად შემცირდა. რაც შეეხება საერთაშორისო ბაზარზე გაყიდვების მოცულობას, გაიზარდა 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რადგან ევროპის ბაზარზე კოვიდ 19-ისგან გამოწვეული გარემოებების შედეგად ევროპის ბაზარზე შემცირდა საექსპორტო შემოსავალი ღვინის რეალიზაციიდან, მაგალითად საფრანგეთში 2020 წლის I კვარტალში შემცირდა 24%, luxus-plus.com.

ჯამურად 2021 წელს საშუალოდ 26%-ით გაიზარდა ჯგუფის საექსპორტო გაყიდვები ღირებულება 2020 წელთან შედარებით.

თვე	დისტრიბუცია			საფირმო მაღაზიები			ექსპორტი
	ბოთლის ღვინო	ჩამოსასხმელი ღვინო	PET	ბოთლის ღვინო	ჩამოსასხმელი ღვინო	PET	
იან	-60%	-92%	-67%	-77%	-68%	-40%	-24%
თებ	18%	-83%	-45%	-71%	-58%	99%	132%
მარ	162%	-81%	22%	-31%	-19%	114%	-61%
აპრ	541%	50%	108%	-	-	-	37%
მაი	1350%	2280%	242%	838%	225%	385%	212%
ივნ	44707%	-47%	82%	68%	51%	182%	64%
ივლ	2203%	360%	88%	448%	124%	382%	-39%
აგვ	881%	245%	76%	327%	173%	25%	146%
სექ	662%	71%	119%	214%	67%	6%	-30%

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 4 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ზურაბ გოგოლაშვილი

ფინანსური დირექტორი



სალომე ნიკოლეიშვილი